

სეტყვის პროცესები საქართველოში და ღრუბლებზე აქტიური ზემოქმედება

მარიამ მოდრეკელიძე

ელ-ფოსტა: mmodrekelidze@gmail.com

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ი.ჭავჭავაძის გამზირი 3, თბილისი, 0179, საქართველო

საქართველოში რთული ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობებიდან გამომდინარე სხვადასხვა სტიქიური მეტეოროლოგიური მოვლენებია დამახასიათებელი: გვალვა, წაყინვა, ქარბუქი, თავსხმა ნალექები, ელჭექი, სეტყვა და სხვა. საშიშ მეტეოროლოგიურ მოვლენებს შორის სეტყვას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. სეტყვისაგან მიყენებული ზარალი ყოველწლიურად ათობით მილიონ ლარს ითვლის. საქართველოში განსაკუთრებული სიხშირით სეტყვა კახეთის რეგიონს აზიანებს.

კახეთის რეგიონის რელიეფი დიდი მრავალფეროვნებით ხასიათდება. ჩრდილოეთიდან იგი შემოსაზღვრულია კავკასიონის წყალგამყოფით; შიდა და გარე კახეთად რეგიონს ჰყოფს ცივ-გომბორის ქედი, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადგილობრივი ატმოსფერული პირობების ჩამოყალიბებაში. სიმაღლეთა შუალედში გაშლილია ალაზნის ვაკე, ხოლო სამხრეთით და აღმოსავლეთით - ივრის ზეგანი და შირაქის ველი. აქედან გამომდინარე, ოროგრაფიული მრავალფეროვნება ქმნის ხელშემწყობ პირობებს წლის თბილ პერიოდში გროვა და სეტყვის გამომწვევი, გროვა-საწვიმარი ტიპის ღრუბლების წარმოქმნისა და განვითარებისათვის. შესაბამისად, კახეთის რეგიონი ხასიათდება სეტყვის საშიშროების ხარისხის მაღიან მაღალი დონით.

ნაშრომში წარმოდგენილია, გარემოს ეროვნული სააგენტოს და სსსტც „დელტას“ მონაცემებზე დაყრდნობით, ჩატარებული სეტყვისა და მის მიერ მიყენებული ზიანის კვლევების შედეგები საქართველოში და კახეთის რეგიონში, რომელიც მოიცავს 1995-2022 და 2016-2023 წლების პერიოდს. აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით შედგენილია ცხრილები, სადაც მოცემული პერიოდისთვის წარმოდგენილია სეტყვიან დღეთა რაოდენობა საქართველოს რეგიონებისა და ამ რეგიონების მუნიციპალიტეტების მიხედვით, ასევე ცხრილების სახით წარმოდგენილია სეტყვის ხანგრძლივობისა და სეტყვის მარცვლების დიამეტრის გრადაცია აღნიშნული პერიოდისთვის და სინოპტიკური პროცესის ტიპები, შესაბამისი რეგიონებისთვის და მისი ზემოქმედება სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე.

დადგენილია, რომ კახეთის რეგიონში, სეტყვაზე აქტიური ზემოქმედების არეალში, უმეტეს შემთხვევაში სეტყვა გამოწვეული იყო შემდეგი აეროსინოპტიკური პროცესებით: არაერთგვაროვანი ოროგრაფიის ფონზე შიდამასიური ტიპის ღრუბლების განვითარებითა და კონვექტიური

პროცესებით; დასავლეთიდან ცივი ატმოსფერული ფრონტის გავლით და სამხრეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან განვითარებული ტალღური აღრევებით.

სსსტც „დელტას“ მონაცემებით, 2016-2023 წლებში, კახეთის რეგიონში სეტყვიანი დღეების ყველაზე მეტი შემთხვევა დაფიქსირდა 2023 წელს 71 დღე, აქედან 56 შემთხვევაში მოხდა მათი განეიტრალება, ხოლო 15 დღის განმავლობაში დაფიქსირდა სეტყვა, რამაც გამოიწვია ეკონომიკური ზარალი.

საანგარიშო პერიოდში, სტიქიისგან დაზიანებულმა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების საერთო ფართობმა შეადგინა 15231.9 ჰა, დაზიანების სხვადასხვა პროცენტით, რაც შეადგენს დასაცავ ტერიტორიის მთლიანი ფართობის 0.42%-ს, ხოლო სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 1.903%-ს.